

13
954

1 12 04 6



ვერსელები

№ 9
საპროპაგანდო
1954



საშრატოში: ბიონერთა IV რესპუბლიკური შეკრების მონაწილენი თბილისში.
ფოტო შ. ჩხეტიანისა

ვლადიმერ მაიაკოვსკი

ს ი მ დ ე რ ა — ე ლ ვ ა

ზღვას გადაწვდება ლურჯტალას,
ხმა ქედებს
გადაივლება —
უმღერე, ელვა-სიმღერავ,
ბიონერების შეკრებას.
ჩვენს წითელ კოკონს
ეწვიეთ,
დროზე გვეწვიეთ
მოვიდეს ტოლები
დების და ძმების
ურიცხვი მილიონები

... შრომის და ბრძოლის
სწორი გზა
გინათე შენ,
განთიადო,
ჩემო
მშობელო დედაო,
შენ, რესპუბლიკავ დედაო.
მიწავ მოხუცო, ვიზრდებით —
დოვლათი
ბაღებით, ყველგან დახვავდა,
ბაღჩა-ბოსტნებით
ხრიოკი სივრცე აყვავდა.

ყველგან
მშობლიურ თვალს ვხედავთ.
გხარობთ, რაც უფრო დრო გადის.
ჩვენი დიდი მამა —
მუშათა კლასი ფოლადის.
... წინ გასწიო
ამ გზას ლენინურს
მტკიცე მწკრივები არტყია!
ჩვენ ხელმძღვანელი
ერთი გვყავს —
კომუნისტური პარტია.
თარგმა ვ. ლაფეაშვილმა



სალამი, სკოლავე, ძვირფასო!

თბილისი უცებ აივსო,
დგას ჟრიაშული უჩვევი,
თითქოს მაისის ყვავილებს
დაუფარია ქუჩები.

ისევ ნაცნობი პროსპექტი,
ნაცნობი შესახვევები...
მოიჩქარიან ბიჭები
ალისფერ ყელსახვევებით.


მზისგან გარუჯულ გოგონებს
გაბრწყინებიათ თვალები.
აი, ძვირფასი შენობა,
აი, ნაცნობი კარები...

ეს მათ დალაშქრეს ციხენი,
ქედები გადაიარეს,
ცამდის აზიდულ კოშკებთან
კოცონი ააბრიალეს.

ველებზე, მთებზე, კორდებზე,
მოჩანდა მათი ალმები,
მშობლიურ მხარის კუნჭულიც
არ დარჩათ შეუსწავლელი...


ნახვამდის, მთანი მაღალნი
და თმაქორიორა ტყეებო,
სალამი, სკოლავე, ძვირფასო,
სალამი, სწავლის დღეებო!

ნოდარ გუგუშვილი



ჩანს

მეგობრობის ზეიმი



პიონერთა IV რესპუბლიკური შეკრების გახსნა (აღმის აღმართვა) ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში.

თავდუღებით სავსე მაგიდაზე ქალიშვილის პორტრეტი დევს. იგი ნათელი თვალებით შესტყირის მეგობრებს. „უღუ- ანა გრომოვა!“ — ხმინაოხს თითოეული პიონერის გულში.

გმირი კომკავშირელის სურათი მეგობრობისაღმ მიძღუ- ნილ საქართველოს პიონერთა მეოთხე რესპუბლიკურ შეკრე- ბას მობარტვის საჩუქრად კრასნოდონელმა მეგობრებმა.

უღიანა ეს სახელი საბჭოთა ახალგაზრდობის სათაყუ- ნებელ სახელად გადაიქცა. ვინ იცის, რამდენ ბავშვს წაუკო- ხავს ფადევის „ახალგაზრდა გვარდია“, რამდენს დაუმახავს მღლეგრებისაგან ანთებული თვალებით ის გასისპლიანებული სკაინი, სადაც 1942 წლის მარისაწე დღეებში უღიანა მეგო- ბრებს ბედნიერი სიცოცხლის შესახებ ესაუბრებოდა. და ეს ბედნიერი სიცოცხლე ახლა უღიანას წინ ფიცს სდებს. ფაცს დებენ პიონერები, რომ იქნებთან ისევე მამაცნი, როგორიც ახალგაზრდა გვარდიელები იყენენ.

„— ვგავდეთ ზოიას გმირობით, ოღეც გამეუღობით!“ — შქუხს სცენაზე სტალინგრადაელი პიონერების მოწოდება.

„— ვისწავლოთ ისე, როგორც გვიანდერძა დიღმა ლენინმა!“

„— ვიყოთ ისეთები, როგორც დიდ სტალინს უნდოდა!“ წკრიალეზენ სიტყვაში გამოსულ პიონერთა ხმები.


მეგობრობისაღმი მიძღნილი საქართველოს პიონერთა მეოთხე რესპუბლიკური შეკრება, კიდეც ერთი ნათელი და- დასტურებაა იმ დიდი სიყვარულისა, რომელიც არსებობს ჩვენი საბჭოთა სამშობლის ბედნიერ ბავშვთა შორის. ისინი 29 ივლისის ისხარულით მოისწრაფოდნენ თბილისის ორჯონი- კიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში, სადაც პიონერულ ხაზე გამწკრივებულმა, საქართველოს ყველა რაიონიდან ჩამოსულმა თითოეულმა პიონერმა უპატკა შეკრე- ბის მობარტვის. პიონერებს გულთბილად მიესალმა საქართვე- ლის ალკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ახს. ნათელა ვსახე. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო მიმნის გრიალში აღი- მართა შეკრების წითელი ღამი.

პარკის საზაფხულო თეატრში გაიხსნა შეკრების პირვე- ლი საზეიმო სხდომა, რომლის ხელმძღვანელობა ქუთაისის პარ- ველი სკოლის მოსწავლე ოთარ ბრეგვაქს მიენდო. სიტკვაში გამოსული პიონერები აღტაცებით დაპარაკობდნენ იმ მეგო- ბრობის შესახებ, რომელიც მათ ახე მჭიდროდ აერთებს.

„ჩვენ, თბილისელ პიონერებს, დიდი ხნის მეგობრობაა და ხშირი მიმოწერა გვექონდა საქართველოსა და მოძმე რესპუბ- ლიკების პიონერებთან, — თქვა თბილისის 35-ე სკოლის მოს- წავლემ პიონერმა ნონა მარდაღიშვილმა, — ერთმანეთს ვუზი- არებდით სწავლასა და პიონერულ მუშაობაში მიძღულთ გა- მოცილებლას, მაგრამ გაცილებით ბედნიერებმა ვართ დღეს როდესაც ერთმანეთს პირადად გავიცნაით.“

მოსკოველ პიონერთა საჩუქარი — თვითმჭირნავისა და მოტორიანი ნავის მოდელები — გადასცა შეკრებას მოსკოვის 38-ე საშ. სკოლის მოსწავლე ნინა ბარმინაშა. საქართველოს პიონერებს დიდხანს ეხსომებათ გოგონა, რომელმაც მოსკოველ პიონერთა კეთილი სურვილები ჩამოტყანა ქართველ მე- გობრებს.

ძვირფასი საჩუქრები მიიღეს აგრეთვე გორელმა პიონე- რებმა. ესაა მოსკოვში ბელადის საცხოვრებელი ადგილის ამსახველი სურათების ალბომი. თავის მხრივ, გორელებმა მთელი გულით მიიბაძვეს მეგობრები გორში. შეკრების მო- ნაწილენი აღტაცებით მოელოდნენ იმ დღეს, როდესაც ხელი- ხელჩაკილებულნი შეაბიჯებდნენ პატარა სახლის კარებში.



სურათზე: (მარცხნივ)—უკრაინელი პიონერების დღეგაცია გორის სადგურზე; (შუაში)—შეკრების მონაწილენი ორჯინიკის სახ. კულტურისა და დასვენების პარკის დარბაზში; (მარჯვნივ)— მოსკოველი პიონერი ნინა ბარბინა მიესალმება შეკრებას.

რომელ ენაზე არ ლაპარაკობდნენ ტრიბუნაზე გამოსული ორატორები: რუსულად, სომხურად, აზერბაიჯანულად, ბელორუსულად... მაგრამ ყველა მათგანს კარგად ესმოდა ერთ-მანეთისა. ისინი ხომ ერთი საერთო ენით — მეგობრობის ენით მეტყველებდნენ!

საუბრით სხდომიდან გამოსული პიონერები უვიღო-ხვიდლით მოედნენ პარკის ხეივანს. მათ მოსწონდათ მალაღობი ხეებით დაბურული ბილიკები, ნაირ-ნაირი ყვავილებით მორთული კვლები, ბუტბუტა მტკვარა. ბავშვთა რკინიგზამ ხომ აღტაცებაში მოიყვანა ისინი!

ახლა დღეგაცემა სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკს ეწვევინ. ხელისუფლებამ გადაეშალათ დედაქალაქის, ხედი: მწვანეში ჩაფლული ღამაში თლილი შენობები, ირგვლივ იისფერი მთებზე შემოფარული. შორს ნისლივით მოჩანდა მტკვარი და თბილისელი სიამყარე — „თბილისის ზღვა“.

პლატოს ყოველ მხარეს სიხარულით ეტანებოდნენ ბავშვები. აქ მათ უფრო ვიხსენებოდა გასართობი მოელოდათ. ნორჩმა ფიზკულტურელებმა ასპარეზობაზე მალაღობი ოსტატობა გამოიჩინეს. საზღვრული ესტრადიდან მოისმოდა სიმღერები: ქართული ბიჭუნა უკრაინელ გოგონასთან ერთად ცეკვავდა „ქართულს“, ხელისუფლებამ დადიოდნენ ერთად სომეხი, რუსი და ბელორუსი მეგობრები.


ღამით პიონერებმა სტალინის ძეგლთან მოიყარეს თავი, სადაც მეგობრობის გოგონა კოცონი დაანათეს. შეკრების მონაწილენი კოცონის შუქზე ელვარე თვალეზით შესცქეროდნენ საყვარელი ბელადის მშობლიურ სახეს. იგი არაერთხელ უნახავთ მოსკოველ პიონერებს წითელ მოუფანზე, გაღმებულ რომ უქნევდა ხელს პიონერთა კოლონებს ზემის დღეებში.

ასეთი დღეები არასოდეს წაიშლებიან მესხიერებაში. ეს შეკრება მარად ემასხიერება სენეთის მთებიდან ჩამოსული ბიჭუნას, ტუშინოელ პიონერს და კრასნოდონელ გალინა ტიულენინას, რომელმაც შეკრების დღეებში ასეთი სიტყვებით მიმართა ქართველ პიონერებს:

„ძვირფასო, ქართველო პიონერებო!

ავისრულდა დიდი ხნის ოცნება: ჩვენ თქვენს შორის ვართ — მზიურ საქართველოში—მეგობრობისაღმად მიძღვნილ პიონერთა რესპუბლიკურ შეკრებაზე.

ჩვენ იმ სკოლის პიონერები ვართ, სადაც სწავლობდა ოლეგ კოპევი და ულიანა გრომოვა, სერგოვა ტიულენინი და ვანია ზემუნხოვი, ისინი, ვის საგმირო მავალითებზე ვიზრ-



შეკრების მონაწილენი ათვალდებენ თბილისის ავრთბიოლოგიურ სადგურში მომუშავე პიონერების მიერ გამოყვანილ ბოსტნულს.



ქართველი პიონერები ესაუბრებიან შერკრებზე წვეთულ სტალინგრადადელ, ტუშინოელ და ბაქოელ მეგობრებს.

დებით და ცსწავლობთ სამშობლოს სიყვარულს, მისთვის თავდადებას.

საქართველოში გამოგზავრების წინ კრასნოდონში მოგაწყეთ ამ შერკრებადმი მიძღვნილი ექსკურსია — ვნახეთ ის სახლები და ადგილები, სადაც ალიზარდნენ გმირი კომკავშირელები; ჩავედით ბნელ და ყრუ სარდაფში, სადაც ისინი მოსკოვს უსმენდნენ რადიოთი, შევედით აგრეთვე იმ ნანგრევებში, სადაც ინახავდნენ საბრძოლო იარაღს.

დავათვალიერეთ მამაცი ახალგაზრდების ცხოვრების ამსახველი მუზეუმი. იქ მათ ხელნაწერ ბარათებთან, სწავლაში წარჩინების ფურცლებთან, წიგნებთან, ფოტოებთან და ტანსაცმელთან ერთად გამოფენილია მათი ნაქარგები, სათამაშოები, ციგები, საკუთარი ხელით დამზადებული მარტივი საბრძოლო იარაღები.

პირადად შევხვდით ოლეგის, ულიანას და სერიოჟას დედებს, რომელთაც გულთბილი მოკითხვა და მსურველ სალამი დაგვაბარეს თქვენთან“.

შერკრების მონაწილეებსა და სტუმრებს პარასოლდესქ დაავიწყდებათ [ის დღე, როდესაც იხილეს გორი; გორის ციხე,

ლენინის სახელობის ღამაში ქუჩა და ყველასათვის საყვარელი პატარა სახლი, გულს რომ სიამაყით გვიჩქროლებს. ზოგმა პიონერმა პირველად იხილა იგი, ზოგმა კი ვინ რვის მერყედნენ... სხვა რესპუბლიკებიდან ჩამოსული პიონერები ადგილებით მოუყუებიან მეგობრებს ამ სახლის შესახებ, აუჯავებულ ბაღნარში რომ ზის, ამ ნავთის ღამის შესახებ, რომლის შუქზეც პატარა სისელო „დედა-ენას“ ფურცლავდა.

საუბრით გაისმის პიონერების ფოცო, რომ ისინი იქნებიან იმ საქმის ერთგულნი, რომელიც გვიანდრძა დიდმა ლენინმა და დიდმა სტალინმა, რომ ისინი მტკიცედ გააყუებიან მშობლიური კომუნისტური პარტიის მიერ ნაწვენებზას.

ძნელია, როდესაც ახლადშემქნილ მეგობარს უნდა დაშორდე. ამ რამდენიმე დღე შერკრების მონაწილენი ისე დაახლოვბ, რომ ახლა ისინი თითქოს სინანულით მოვიდნენ ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში, უკანასკნელ შერკრებაზე. ანძახთან დგება მოსკოველი პიონერი ნინა ბარმინა. იგი მადლობას უხდის საქართველოს პიონერებს გულთბილი დასვენებისათვის. „ჩვენ აქ თავს ისე ვგრძნობდით, როგორც საკუთარ სახლში“. — ამბობს იგი და მოელის გულით ეპატყება საქართველოს პიონერებს მოსკოვში. ტაშის გრაილში დაიხურა პიონერთა შერკრება. მკარამ მეგობრებს დაშლა ეძეილებოდათ. ისინი კიდეც დიდხანს საუბრობდნენ, ეპატყებოდნენ. პირღებოდნენ ერთმანეთს წერილებსა და ამანაუების გაგზავნას.

იმ საღამოს თბილისელები ხელდავდნენ პიონერებით სავსე ავტომანქანებს. ღია ფანჯრებში თავი გამოეყუთ ბიჭებსა და გოგონებს, ქარი უფრიალებდათ წითელ ყულსახვევებს. ისინი პიონერული სიმღერით ავსებდნენ ქუჩებს. გამვლელები დიმილით აცილებდნენ მხიარულ მგზავრებს. ყველაფერი სიცოცხლის სისარულით სუნთქავდა: ახლადმორწყული გამზირები, აკიაფებული ელნათურები, მწვანე ხეივნები და ვარსკვლავებით მოვკვილი თბილისის ცა.

ნაზი კილასონია

ფოტო რ, აკოვოკისა და ბ. მახტანბაძისა



მოსკოველი პიონერები საჩუქრებს უძღვნიან თბილისელ პიონერებს.



ს ა რ ე უ მ ღ ო გ ა მ ო ო ვ ა ბ უ დ ი *

მ ო თ ს რ ო ბ ა



დღილი ჯერ კიდევ აღერ იყო, რომ მივდილი, მაგრამ მთელი დღე დამანაკებას და მოსაზრებელ სამუშაოებს მოვანდომეთ. ოსიკოს, მართალია, თავისი საქმეები თითქმის ჩვენკენ მოხედვის საშუალებასაც კი არ აძლევდა, მაგრამ ყოველ თავისუფალ წუთს ჩვენთან იყო და მუშაობაში გვეხმარებოდა.

კლდის ძირას დავანაკადით. ტილოს კარები დავღვით და გასაშლელი ლოგინები მოვაწყვეთ. შემდეგ ისღა მოვასწარი, რომ კლდის თავზე ავედი და იქიდან ზაგარი დავუშვი. ხვალ იმით უნდა ავკეწო თოკის კბეები.

ინათლა თუ არა, ოსიკომ ყველანი ფეხზე წამოგყარა. ჯანოცა და ოთხი დანარჩენი ახალგაზრდა კლდის თავზე ასასვლელად გავგზავნეთ: მათ თოკის კბეები უნდა აეწიათ. პროფესორი გვიჯორჯავილი კი მერისთან ერთად დადიოდა და ამ ზღაპრული კლდის გასწვრივ ყოველ კუნძულს გულდასმით ათვალთვებდა, იქნებ რაიმე ახალ კვალს ან ნიშანს წაგვწყდოდა სადღეო.

მე, ოსიკო და ჩვენი ექსპედიციის მხატვარი რეზა ნიკოლაძე ცოტა უკან დავდგეთ, რომ კლდისთავზე შემოვლით ასულ ბიჭებისთვის გვენიშნება, როდის აეწიათ ზაგარი და როდის დემაგარებინათ იგი კლდის ქიშხე.

მაღე წემოდან ძახილი მოისმა. ჩვენ ვანიშნეთ, რომ ზაგარი აეწიათ, და ისინიც შეუღღნენ საქმეს. მოულოდნელად ჩვენი ყურადღება კლდის შუაგულთან მოფრინებლმა ორმა არწივმა მიიპარა. ისინი ზაგარში ტრიალებდნენ, ირავს აკეთებდნენ და თითქო გამაღებთ რაღაცას უთავოთვავლებდნენ.

— ეხენი საიდან მოფრინდნენ? — იკითხა ოსიკომ.
— რაღაც სავსე ტრიალებენ, — თქვა პროფესორმა და დურბინი მოიმარჯვა.

მოულოდნელად ერთი მათგანი გამწარებით ცეცა ჩვენი ზაგარის, ახე გულმოღვიწე და რომ ეწილებოდნენ მაღლა ბიჭებიც ცეცა და წიწვა დაუწყა. მერე მოცილოდა და ახლა მეორე ცეცა იმავე ადგილს და ზაგარს წიწვა დაუწყა.

ბიჭები, ეტყობა, ამას ვერ ხედავდნენ; მათ ეგონათ, რომ ზაგარი კლდეს გამოედო, ამიტომ იგი ოდნავ დაბლა დაუშვიც და შემდეგ ისევ დაიწყეს წიწვა.

არწივები ზაგარს მოცილდნენ და კვლავ დაიწყეს ფარფობი კლდის შუაგულთან.

— ოქე, ეს ვერ არის კარგი საქმე, — თქვა პროფესორმა, — ეტყობა, იმ ადგილზე ზუღე აქვთ და იქ ჩვენ ვერ ავალთ.

— რატომ? — გაოცებით ვიკითხე მე.
— შენ, რაო, არწივი მომინაურებული მამალი ინდაური ხომ არ გგონია, რომ ხელით დაიჭირო, — მითხრა პროფესორმა.

— მას როგორ მოვიკეცო?
— ან ეგ არწივები უნდა როგორმე დავგვოცოთ, ან ექსპედიცია მანამდე გადავლოთ, სანამ ეგენი თავიანთ მართვებს დაზარდიან და დააფრინენ.

ოსიკო პირმოკრული იციქირებოდა მაღლა.
— სულ დამავიწყდა თოვი წამოიღე, — თქვა მან, — ჩვეუ-

ლებრივი ორლოლიანი თოვიც მაგათ ვერაფერს დააკლებ, ტყვიას ვერ მიუწვდენ, მაგრამ მე სამლოქოანი შტუტილი მაქვს და მაგათ ერთ წუთში ჩამოვადგეობ ორთავეს.

— შენი მშვილდ-ისრიით სცადე, — ვუთხარი მე. ოსიკომ გაიცინა.

— განა მართლა ავთანდილი ვარ და ისე მაქვს ისრის სროლაში ხელი გაწაფული, რომ ორბი ან არწივი ავრე დავიღობ ძირს ჩამოვადგეობ ეგრე ვამოვა.

— შენ სცადე, — არ ვეშვებოდი მე. რატომღაც მინდოდა, რომ ამ ჩვენი მშვილდ-ისრიით რომელიმე ჩვენგანს გაეჭმირა ეს არწივები.

სანამ ჩვენ ამ დავიღობაში ვიყავით და არ ვიცოდით როგორ მოგვეცილებოდა თავიდან ეს ორი საშიში მტაცებელი ფრინველი, ოსიკოს გაახსენდა, რომ საწოლის ყარაულს ძველებური კარაბინი ჰქონდა და მის მოსატანად კაცი გავაგანა. ვიდრე ის დაბრუნდებოდა, არწივებმა თითქო იგრძნეს, რომ ცუდი რამ მოელოდათ, მოულოდნელად იბრუნეს პირი, წავიდნენ მაღლა, სულ მაღლა და მალე სრულიად გაქრნენ თვალთგან.

— ბიჟოს, მგონი ისინი საქმაღ ჰქვიანები აღმოჩნდნენ, — გაიცინა ოსიკომ, — დროზე უშველეს თავს.

— მე ახლა მათი წასვლა უფრო მაშინებს, — თქვა პროფესორმა, — ისინი შეიძლება ისე მოულოდნელად დაგვესხნენ თავს, რომ აზრზედაც არ ვიყოთ. ამიტომ, ხომ არა სჯობს ჩვენი ექსპედიცია გადავლოთ?

— რასა ბრძანებთ, — შეუდგა ოსიკო, — ფრინველმა როგორ უნდა შეგვამინოს. მტრის ტანკებს არ შევუშინებოვარ და ახლა ორმა არწივმა როგორ უნდა დამაფრთხოს?

მაღე თოკის კბე თითქმის კლდის თავის სიმაღლემდე ექნა ატანული და ჩვენც ასახველად დავიწყეთ მზადება. მერი არ მოეშვა ოსიკოს და აიძულა ყოველ შემთხვევისათვის ზურგზე კარაბინი გადაეკიდა.

ერთიცი ვახსოთ, მოფრინდნენ და თავს დაგვისნენ, მერე რას აპირებო? — უთხრა მან ქმარს.

ოსიკომ გადაიკიდა თოვი, აისხა სხვა საჭურველი: ჩაქუჩი, რკინის პალეო, ალბოური თოვი, დურბინი, მანძილწოპი, და ფრთხილად დაიწყო კბეზე ასვლა. ჩვენ ქვემოდას რომ შეგვეძლო კბეებს გვიმავდით, რათა მას ნაკლებად ექანავა-

* დასასრული. იხ. ყურნ. „პიონერი“ № 16 6, 7, 8.

ოსიკო ძალიან ნელა მიიწევდა წინ. ქვემოლან კარგად ვერ ვხვდავდი, ამიტომ კიბის დაქონება ახალგაზრდებს მივანდე, მე კი მერისთან და პროფესორთან ერთად ცოტა მოშორებით დავჯექი და იქიდან ვუთვალავდი მათი ხმის მოძრაობას.

— თვალი გეჭირათ, ის არწივები ისევ არ მოფრინდნენ, — თქვა პროფესორმა და პირველმა თვითონ შეათვალიერა ცა. მალე ოსიკო კლდის შუაგულს მიადგინა. მან მოსულადნე-ლად ნაბიჯი გახე გადადგა და კიბიდან ლავგარდანზე გადა-ვიდა. ეს ლავგარდანი ახლა შევნიშნეთ ის ის იმდენად სიწ-რა გვეჩვენებოდა, რომ გაოცებთ შევცქეროდით ოსიკოს. პირდაპირ დაუფერებელი იყო, რომ იქ დგომა შეიძლებოდა. არათუ დგომა, ოსიკო ამ ლავგარდანს გაუყვდა და გულდასმით ათვალერიბდა კლდეს.

— ოსიკო, მეც ანოვად, — ავბახე მე.
— ამოდი, — მომესმა ცოტა ხნის შემდეგ მისი პასუხი.

მაშინვე გავექანე კიბისაკენ და დავიწყე ასვლა. ეს ძალზე ადვილი საქმე მგონია, მაგრამ მოგტყუვდა. მართალია, მე ბავშვობიდან სპორტით ვიყავი გატაცებული და საკმაოდ კუნთ-მაგრ ბიჭად ვითვლებოდა ჩემს ტოლებში, მაგრამ ახლა თხუთმეტიწლიან საფეხურის შემდეგ მკლავებშიაც და მუხლებში-შიაც საოცარი დაღლა ვიგრძენი.

ცოტა შევისვენა და ისევ განვაგრძე გზა, თუმცა ვგრძნობ-დი, რომ რაღაც უფრო მაღლა ვიწვევდი, გეომეტრიული პროფ-არებისით მატულობდა სიძნელე. ლავგარდანს რომ მივადწიე, სულს ძლივს ვითჰამდი. ისევ შევისვენე და, როდესაც კიბი-დან გადაბიჯება დავაპირე, მოსულადნელოდ ქვემოლან კივლით შემომტეხა. უნებურად მოვიხილე და რას ვხედავ, არწივები ჩემქვე მოშპრიან და სადაც არის თავს დამებსხიან. ისინი თურმე მერის შენიშვნა და შეშინებული მაფრთხილებდა ქვემოლან. ვერ ვიტყვი, რომ მაშინ რაიმე შიში განმიტეხდა, საამისოდ დროც კი არ მქონდა. ის-ის იყო ერთი არწივი უკვე უნდა დამცხრომდა თავზე, რომ ამ დროს თავის გრიალი გაისმა, არწივი დავხივდა და ტრიალ-ტრიალით წავიდა მაღ-ლა. მეორედ სროლის ხმამ დააფრთხო და მანაც ზეცაში ჰყრა კამარა.

მალე ოსიკო მომშველდა და ლავგარდანზე გადასვლაში დამეხმარა.

— მოდი, ნუ გეშინია, — მითხრა მან, — ხომ არ დაუშავებ-ბიხარ?

— არა, შენ წარმოიდგინე, რომ შეშინებაც კი ვერ მოვას-წარა.

ქვემოლან ძახილი მოგვესმა. პროფესორი გვთხოვდა ახლა-ვე ორთავე ჩავსულუყავით ძირს.

— რა ვქნათ? — ვკითხე ოსიკოს.
— შეგარბოა მომყვებ? ეს ლავგარდანი მაინც გამოვკე-ვლიათ.

— არწივები რომ დავგვესმა თავს?
— არა მგონია. თუ გინდა შენ მანდ მოიცადე და მართო მე წავალ.

— არა, რატომ, მეც მოვყვები.

ოსიკო წინ წავიდა. მე გვედრ ფრთხილად მიველოდი, თუმცა ჩემს თავს შევბატყენი, რომ ფეხზე მტკიცედ ვერ ვიდე-ქი. ლავგარდანი არც ძალიან ფართო იყო, მაგრამ ზედ გავ-ლა შეიძლებოდა, მე კი ძლივს მივბობდავდი და კლდეს თავ-განწირვით ვეუბნებოდი. ოსიკო შემატყო, რომ თავი მტკი-ცედ არ მეჭირა და მიხრძანა უკან გავბრუნებულიყავი.

— ქვემოლ ჩაიდი და იქ მომიცადე!
— არა! — ვითარე მე. — რატომ უნდა მივტაკო.

— აჰ შენ ვიდარაჯო თუ კლდე ვეცლიო?
— მე რად უნდა მიდარაჯო!

— მაშ ის ორბები, თუ არწივები, თავს რომ დაეჭვებ, შენ ამ კლდეზე ფეხს ვერ მოკიდებ.

— მაშინ შენც წამოდ, — არ ვიშვებოდი, — ჩვენი ნიშნები ვივადებო.

— კარგი, აგრე იყო, — მითხრა მან და მოზრუნდა. ის კი მოზრუნდა მაგრამ მე ვეღარ დავიძარ აღვილივან. არ ვცო-რისი ბრალი იყო და, მუხლები ისე ამიკანკალდა, ფეხზე ვეღარ დავდექი. ლავგარდანზე ჩავიშოქე, კლდის ქიშხის ორი-ვე ხელით ჩავფარინდი და ცდილობდი მუხლების თანხას შემიხრებოდა.

ოსიკო თავზე დამამდა და, ასეთ მდგომარეობაში რომ დამეხმარა, ისეთი დამეჭვივდა, რომ კინაღამ იმ არწივებზე უარესი დამეხმარა.

ნათქვამია, დამწვარს დამწვრით არჩენნო, ისე მაღამოს-ვით იმეორებდა ჩემზე ოსიკოს შეძახილმა და დატუქვებამ, რომ ვერ წარმოიდგენო.

— მიიტ, შე ახეთო და ისეთო, — მიყვირა მან, — ეგაა შენი ვაჟკაცობა? დადექი ფეხზე!

ესეც არ მაქარა. ერთი კი ვაჰკრა კარბინის საყვებს ხელს და თოფი ზედ ყურით დამეცაღა. ამან კი მართლა საბო-ლოლოდ გამომაზრუნა. ორთავემ ფრთხილად დავიწყეთ ჩასვლა თოკის კიბეზე. ოსიკო წინ მიმიძღვდა, მაგრამ თვალს სულ ჩემვე ეჭირა. გზადგანა სულ იმის შიშში ვიყავი, ვთუ მიწაზე ფეხს რომ დავაბიჯებ, ან დავბარბაცე ან წავიქცე-მეთქი. ყველაფერმა მშველიობიანად ჩაიარა, არა თუ დავბარბაცე-დი, პირიქით — გულთ დამქვდა, რომ შევეწყვრეთ ძებნა და ჩამოვდილი მზად ვიყავ იმწამსვე დავბრუნებულიყავი უკან.

— რა კარგი ჰქენით, რომ ჩამოხვდით, — გვითხრა პრო-ფესორმა, — უშეკვებო, არწივებს იქ ბუდე აქვთ და მათი თავ-დახსნა ყოველთვის მოსალოდნელია.

— საბავიეროდ ვინ იცის, იქნება ამათი ბუდე სწორედ იმ გამოვლენის შესასვლელთანაა, — თქვა ოსიკომ.

— ეგ შესაძლებელია, — დავითანნა პროფესორი, — მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში სიფრთხილე გვმართებს. რა საჭიროა თავის განწირვა, მით უმეტეს, რომ შეგვეცოდა, თუ სათანადო ზომებს მივიღებთ, თავიდან ავიცილოთ ყოველი საფრთხე.

— მაშ როგორ მოვიქცეთ? — ვკითხე მე.
— დღეს შეიცვალდა და მორიგეობით განუწყვეტლად ვუთვალავთ. თუ მათ მართებენ ჰყავთ, აუცილებლად მოფრინდებიან, რომ მათ საკმეოდ მოტკნანო. ზღვრის კლდე კარგად მოვსიჯავთ იმ ადგილს, სადაც ბუდე აქვთ, და მერე შესაძლებლობა მოგვეცემა როგორც ისინი მოვიგერიოთ. მაშინ კი საღარდებელი არაფერი გვექნება და თავისუფლად გამოვირკვეთ ამ კლდეს.

— იქნებ დღეს სულაც არ მოფრინდნენ და ზგალ მოვეუ-ნებოთ მოფრინო, — თქვა ოსიკომ.

— ეგაც შესაძლებელია.

— მაშინ ეს დღე ტყუილბარბად უნდა დავუკარგო? არა, ცოტა შევისვენით და მერე მე და ჩემი მეუღლე ავალო კლდეზე. მე თოფით ვუდარაჯებ, მერი მომძებნის ბუდესაც და გამოქვაბულის კარსაც.

— ეგ შეუძლებელია! — იუარა პროფესორმა. — განა აგრე ვაგამართლებს ბედი, რომ ერთი გასროლით ჩამოავლო არ-წივი? მიწაზე რომ დეგე, მუხისი. ექ, კლდეზე დგახარ, მოუ-ხერხებლად, ვერ მიბრუნდები, რა იცო რა მდგომარეობაში მოგხებდა სროლა. არა, მე ამის უფლებას არ გაძლევო.

მეტე გზა არ იყო, დავაწყეთ მორიგეობა. ყოველ ჩვენ-დანა თითო საათი უნდა გასუწყვეტლავ ეთვალთვალებინა, განსრინები კი წავიდეთ, ზოგი — დასაცხენილად, ზოგი — მინდამოს დასათვალღირებლად.

პროფესორი მოღუშული დაბორააღოდა და სანგამიშვე-
ბით კლდეს უტყუროდა.

— ოთარ, მოდი აქ, — დამიძახა მოკლედწინადად მან.

— ვისმინო, პატაცემული გივი, — ვუთხარი მე და თვა-
ლებში შევაცქარდი.

— იცი რა, მე გადავწყვიტე, რომ ჩვენი ექსპედიცია ზამ-
თარამდე გადავლოთ.

— რატომ?

— იმისთვის რომ, ჩემის აზრით, არწივებს იქ მართვები
ჰყავთ, სანამ მათ არ დაზრდიან და არ დააფრენენ, ჩვენ იმ
კლდეს ვერ მივცაქარებთ.

— ეჰ, ეგ რას გაწუხებთ. ხვალვე ჩამოვიყვან თბილისი-
დან ოცამდე მონადირეს და იმ არწივებს ხელათ მოუღებენ
ბოლოს.

— არაოდეს! — ისე მტიცივდ წამოძახა პროფესორმა,
რომ მე უნებური გაცივებით შევხედე მას.

— რატომ, ნუთუ ეგ მტაცებელი ფრინველები გეცოდნება?

— ააა, — მითხრა მან, — მე უკვე სრულიად დარწმუნ-
ებული ვარ, ეს საიდუმლო გამოქვაბული კლდეში, ასე გატა-
ცებით რომ დავცემთ, დიდი რუსთველის გამოქვაბულია, და
მე არავის არ მივცემ ნების დახოცოს ის არწივები, რომელ-
ნიც მის ქვაბს დაარჯობენ.

* * *

რამდენი ვედავით პროფესორს. ვუშტიცივთ, რომ იმ არ-
წივებმა ააა რა იციან იქ რუსთველის გამოქვაბულია თუ
ჩანრუხებისა, იმათ ბუდე შემთხვევით გაუკეთებიათ იმ ად-
გილზე და ჩვენ ამისთვის ექსპედიცია რად უნდა გადავდეთ-
ოქო. მაგრამ არაფერმა არ გაჭრა. აიჩემო, ჯერჯერობით ძა-
ლიან ძნელია იმ არწივების დახოცვა, შეიძლება მთელი ზაფ-
ხული ვუდარჯოთ და ვერაფერი დავაკლოთ, მერე — იმ არ-
წივებს არ დაგაბოცინებთ და საერთოდ რატომ უნდა ჩავაგ-
დოთ საფრთხეში რომელიმეს სიცოცხლე; რა გვეჭარებოდა,
შემოდგომა შორს არაა, ეს კლდე არსად გავაქცივა, ოსიკო
მუდამ აქ იქნება, როგორც კი შესაძლებელი გახდება ძიების
გაგრძელება, გვაცნობებს და ჩვენც ყველანი მაშინვე აქ გავ-
ჩნდებითო.

თოკის კიბე ჩამოგვასწვენინა და ბანაკი მოგვასწვენინა.

ისეთი ვიყავი — დანა პირს არ მიხსნიდა, მაგრამ ჩემთვის
უადრესად პატივსაცემ პროფესორს ხათრი ვერ ვავტუტებ.

გადავდეთ ჩვენი ექსპედიცია შემოდგომისათვის.

რადესაც ავტობუსში ვსხდებოდით, ოსიკომ განწე გამის-
მო და ყურში წამწურჩულა:

— ეგ შენი პროფესორი, ეტყობა, დიდი რომან-
ტიკოსი ყოფილა. შემდეგში ამ საქმეში მაგას ნუ ჩავ-
რეცთ. მე შემოგვითვლი და შენ და ჯანაიკო ჩამოდი.
ჩუმად გამოვიკვილოთ სამთავემს..

ასე დავბრუნდით უკან გაწობილებულნი, მაგრამ მე
და ჯანაიკო იმ იმედით მაინც ვიყავით აღსავსე, რომ
ოსიკო დღე-დღეზე გამოგვიძახებდა და ჩვენ საიდუმ-
ლოდ მოვცებნიდით იმ გამოქვაბულს — ასე რომ ავეი-
რია დამტრები ორთავეს, და ვანა მარტო ორთავეს!..



ისე მომხიბლა შიგნის ზეიანსა სანახაობაში, როდესაც მას ლატფარის უღელტეხილიდან გადავხედე, — სევანტობა კომუნიკაცია მისთვის და უმუცლონი ნაძვის ტუბებში, მუცე წყლებში, მჭუსხარე ინფორმაცია, კლდეებზე ჩამოვარდნილი ჩანჩქერებში, მზის სხივებზე პატარა ცისარტყელიანი წარმოებით რომ გადასახვივით, ყვავილებით, და მერე როგორც ყვავილებით, მოჭარბულმა აღმოჩნდა მინდვრებში, — რომ თავი სიწმინდით მეგონა. რაც შეეხება ისტორიულ ძეგლებს, კიდის წყნარ კვირიკის ტაძარს, მესტიის, ლატფარის, მულახის, სიუფის და ბევრ სხვა სოფელში არსებულ ძეგლებს, მათ სომ განვიფრთხილებაში მომიყვანეს.

განსაკუთრებით სახიამოვნოა კიდევ ის გარემოება, რომ აქ ყველგან შესანიშნავი გზატკეცილებია გაყვანილი. მესტიის ნამდვილ თანამედროვე ქალაქს წარმოადგენს, სასტუმროთა, თეატრით, კინოთა, სასპორტო მოედნებით და აეროპორტით. აქ თავს იყრის უამრავი მთასდელი და საერთოდ ტურისტების შემდეგ გადავწყვიტე ყველგან ზავიანულს სანახავს ვწვეოლი, რადგან იმ დღი კულტურული მემკვიდრეობის შესასწავლად, რაც სვანეთშია შემონახული, არა ერთი და ორი მეცნიერის მუშაობაა საჭირო წლების განმავლობაში და ჩემთვის, ცხადია, იქ ყველამდე მოიძებნებოდა საკვლევი და შესასწავლი.

თბილისში რომ დავბრუნდით, სახლში ოსიკოს ბარათი დახვდა, სადაც მხოლოდ რამდენიმე სიტყვა ეწერა: „განძი ვიპოვე, ჩამოდე სასწრაფოდ. ოსიკო.“
— ეს კაცი ვამაგიყვებ! — წამოვიძახე მე უნებურად და მაშინვე დავურეკე ჯანიკოს.

— დევი ასეთი ბარათი დახვდა, — მითხრა მან ტელეფონით, — რა გქნათ?

— ახლადე წავიდეთ. თუმცა დაცვა, მერის დავურეკავ.
— მე შენთან, ოსიკო გვეხუმრება, — წაიდუღუნა ჯანიკომ კვლავ ტელეფონში, — არავითარი განძი მას არ ექნება ნახული.

— რატომ ფიქრობ?
— რომ ენაბა განა ენაზე დაადგებოდა, სულ შეძრავდა მთელ პრესას, სასოგადოებას. ცოც მისი ამბავი.
— იქნება კიდევაც ასე იყო. ჩვენ აქ არ ვიყავით და სვანეთის მთებში გავრთვებს შემთხვევით თუ წავიკითხავდით. ყოველ შემთხვევაში, ათასჯერ რომ გვეხუმრებოდაც, მე მაინც უნდა წავიდე ახლადე, ჯერ მერის ვკითხავ, ენას რას მტყვის.

მერი შინ არ აღმოჩნდა. მეზობლებმა მაცნობა, რომ ის, თავის ბავშვებთან, სასოგადოებრივ ქმართან ყოფილა წასული. რაღა გეწყობოდა. წასდის მტე ჩვენს ცნობისმოყვარეობას ვერაფერი ვერ დაეკმაყოფილებდა. საჭირო იყო სასწრაფოდ მანქანის შოვნა. მეც და ჯანიკომაც ბევრი ვიტრიალებდით, ხან ვიცოც, ხან ვის, მაგრამ ჯობრზე არავინ არ დავეხმე და თბილისში ისეთი, რომელსაც საკუთარი მანქანა ჰყავდა და შეეძლო ჩვენთვის ენათხიზებინა. ამ დავიჯარაბა რომ ვართ, მოულოდნელად გამახსენდა, რომ ჩვენი ექსპედიციის განუყოფელ თანამგზავს, მხატვარ რეზო ნიკოლაძეს ჰყავდა საკუთარი მანქანა. მართალია, ის უტესტური ვიჭრისა იყო, ჩვენ მას „კოსმოპოლიტიკ“ ვეძებდით, საკმაოდ ძვილი იყო და გზაში ოჩინი ჯორივით იცვალა ბოლომდე გავიფრთხილება, მაგრამ მაინც მანქანა იყო, მოძრაობა შეეძლო და ჩვენ მეთი არა გავიდოდარა. მაშინვე მოვძებნეთ რეზო და იმან, გაიგო თუ არა ოსიკოს განძი უპოვნიათ, ხელდა ამუშავა თავისი დანჯღრელით „კოსმოპოლიტიკ“, ჩაგვცა შიგ, თვითონ საკეს მიუჯდა და გზას გავუდგმო.

— რეზო, ამ შენს ჯორს, ანუ „კოსმოპოლიტიკს“, სწავლი ხომ არ შეუყარა? — ეკითხებოდა გზადაცა ჯანიკო.
— რატომ ფიქრობ?
— რაა, რომ სულ ცხვირის აცემინებს, ახედე, სწავლია და ქოშინობს.
— ეგ არაფერი, შენ ისა თქვი, კამერა არ გასტყდეს და საბურავი არ დაიხუტოს. ცხვირის ცემინება არაფერია, ძრავი კარგად მუშაობს. თქვენ ისუმრეთ და, ამით მთელი საქართველო მაქვს მოვლილი.
— ხილებთან ხომ არ ოჩინდება? — ვკითხე მე ღმომლოთ.
— ან აღმართში როგორ ადის?

— ეე, დამცინეთ, ბიძია, მაშინ დამცინეთ, როდესაც უკეთესი ბედლოდები გეყოფილათ.
რუსთავის გზატკეცილზე ერთერთმანეთზე გვისწრებდნენ არათუ მსუბუქი მანქანები, არამედ საბარუსული და ყველაზე გულახასითები ის იყო, რომ ერთჯერ ვიღაც ველოსიპედისტმაც კი გავცასრეთ.
— მე ვიცნობ მაგას, საკავშირო მასშტაბის სტაიერია, — გვეთხრა მაშინვე რეზომ რთა კიდევ არ აგვეფიქრა მასხარად მისი მანქანა, რომელსაც ველოსიპედით კი ასწრებდა, — ვერ ხედავთ, საეროოდ სისწრაფით მიდის.
— შენ რა გიშლის ხელს, — არ ეშვებოდა ჯანიკო.
— ხომ ხედავთ, როგორი მოძრაობაა. აქ ძალზე საფრთხილთა სვლაა. აი, გავცდებით რუსთავის გზატკეცილს და მერე ნახავთ. საათში ას ოც კილომეტრს გავავითარებ.
მანქანები მართლა ბევრი მიდამდიოდა. ზოგი დატვირთული, ზოგი ცარიელი.

მარტ ვაცდით რუსთავის გზას, მაგრამ მანქანების რიცხვმა სასრულიადც არ იცლო. მოპქორდნენ სახენი მასალით, რკინეულობით, ყუთებით დატვირთული საბარგულები. დინჯულ დობობადდნენ მძიმე სორთუმიანი ექსკავატორები და ბუდლოფერები. მათი გრიალი მიწას აწანაწარებდა და მიდადის ასურებდა.

— სად მიდიან ეს ამოდენა მანქანები? — წამოიძახა რეზომ. — აქ წინადაღებები ერთი მანქანა თუ ჩაიდა და ისიც ილიდ საქმე იყო.

მაგრამ ჩვენმა გოცებმა ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა, როდესაც ქუბუბის ხეცში მივიღეთ და იმ მიდამოს გადავხედეთ, სადაც წინათ ძივებისა, დაბალი ბუჩქნარისა და გადარეულნი ბორცვების მტე არაფერი არ მოჩანდა.

რამდენიმე ათეული, თუ მეცნო, ასეული ექსკავატორი და ბუდლოფერი შესელოდა მიდამოს და გვემანადა, თითქმე დედლა მინწომი ვიგანტორი პირამიდის ამოხარას შედგომოდნენ, ერთის სროტინით, ჩანახით და ყურისწამლები გრიალით ატრიალებდნენ ხორთუმებს, თხრინდნენ და მიაფორებდნენ მიწის გროვებს, პირიამიდ ვსებოდნენ მოძრავ ვაგონებს შენადგენლობებს, და ყველგან ისეთი ყურისწამლები ხმაური იდგართ, თუ ხმამაღლს არ ილაპარაკებდი, ძნელი იყო რაიმეს გავტე.

— რა არის ეს? — უნებურად აღმოხდა მე და სანამ ვინმესგან პასუხს მივიღებდი თვლი მოვკარი ოსიკოს. მას სამუშაო ჩემებზე ცევა, მხარზე ჩანთა გადავიდა და რაღაცს ეუბნებოდა რამდენიმე მუშას.

ჩვენ მაშინვე გავეჩინეთ მისკენ და შორიდანვე გავცაბეთ: — ოსიკო, სად არის განძი? — გვიჩვენებ ახლადე.
მან მთავრად თავი ანება, ჩვენკენ გამოქანა და საშთავებ რიგრიგობით გადაგვიცვია.
— გამარჯობათ, ბიჭებო, მიმოილოცეთ. თუ მე უნდა მოვი-

ლოცოთ, არ ვიცი. — გვი-
თხრა მან და აციმციმებული
თვალებით გადმოგვხედა.

— სად არის, სად?!

— ცკოთხე მე.
— როგორ სად არის?
რა? — ოსიკოს ისე გაუკვირ-
და ჩემი კითხვა, რომ გა-
ოცებით გადახედა დანარ-
ჩენებს.

— რა და, განძი!

— აი, სად არის! — ხე-
ლით გვანიშნა მან სამუშა-
ოთა ზვიად პანორამაზე. —
აქ არის ის უდიდესი გან-
ძი, რომელიც ასე ჭირ-
დება ჩვენს სამშობლოს
და ჩვენს ახალ სოციალის-
ტურ ქალაქს, რუსთავს. აქ
აღმოჩნდა რკინის მადნის
უდიდესი ბუდეობი. მარაგის
რაოდენობა, ჯერ, რაც
უკვე უმჯველად დადასტუ-
რებულია, ას მილიონ ტონ-
ნას აღემატება და აწი რაც
აღმოჩნდება, ის კიდევ სხვა არის. აი ეს სამსახური გამიწია
იმ შემთხვევაში პატარა ფარატინა ქალაქში, სადაც წერია: მიჰყე
ნასროლსა ისარსო. აქ თურმე სულ მაგნიტური რკინაქვა ანუ
მაგნიტური ყოფილა და მისი უზარმაზარი მასა ადვილად იწ-
ვევდა ისრის გზის გამარულებას. გავსინჯეთ, გამოვსინჯეთ,
ჩვენ რომ არწივებს გავფურთხოთ, მაშინ მე გფმანით უკვე
მიხედვითი იყავი, მაგრამ სანამ ნიადაგს არ გავფურღავ-
დით, შეუძლებელი იყო წინასწარი რაიმე გადაჭრილი აზრის
გამოტანა. ამ რამდენიმე წლის წინათ მოვიტანეთ საბურღავი
მანქანები და რას ვხედავთ, ამოღის, მაგრამ რა ნიმუშები
ამოღის, რკინა კი არა — ოქროს ნამდვილი ოქრო კი არა —
რკინაა, მაგრამ მე ოქროს მიჩნევიანა.


ჩვენ, ცხადია, მივულოცეთ ოსიკოს ეს გამარჯვება, რად-
გან ამ აღმოჩენამ მართლა გავგახარა. მართალია, მე და ჯა-
ნიკო ისტორიკოსები ვართ, ხოლო რეზო — მხატვარი, მაგრამ
აბა რომელ ჩვენგანს არ გაუხარდებოდა ასეთი მაღალი ხა-
რისხის რკინის მადნის ნახვა. მით უმეტეს თუ იმასაც გავთ-
ვალისწინებდით, რომ ნებისთ თუ უნებლიეთ ამ დიდი საქმის
უნებური და მთავარი ხელისშემწყობი მე ვიყავი.

* * *

— გამოქვაბულის საქმე როგორაა? — ვეღარ მოვითმინე
და პოლოს მაინც ცკოთხე ოსიკოს. — ის არწივები გაფრინ-
დენენ თუ ისე იქ ცხოვრობენ?

— გამოქვაბულის საქმე? — გაგიშეორა კითხვა ოსიკომ. —
ვერ არის კარგად.

— რატომ, არწივები...



რამდენიმე ათეული, თუ მგონი ასეული ექსკავატორი და ბულდოზერი შესეოდა მიდამოს.


— ეჰ, არწივებს იქ რა დააყენებდა, — შემაწყვეტინა
ოსიკომ, — ამისთანა გრიალში და ჰექა-ჰუხილში ისინი რას
დადებდნენ. არ მინდოდა მეოქვა და ახლა უნდა გამოგიტყ-
დეთ, მე უოქვენოდ ავედი იმ კლდეზე.

— მერე, მერე, — მოუთმენლად ცკოთხეთ სამივემ ოსიკოს.
— მერე ის, რომ არწივის მიტოვებული ბუდე მართლა
ვნახე, მაგრამ გამოქვაბულის კვალს მაინც ვერ მივაგენი-
თუმცა კლდეზე არ დამიტოვებია ერთი მტკაველი ადგილი,
რომ არ დამივალდოთ. ეტყობა, იმის მისაგნებლად, რაიმე
ქნებოდ გასათვალისწინებელ ახალ კვალს უნდა წავაწყდეთ.
როგორც იმ მშვილდ-ისრის გამოსახულებას ვერ ვნახავდით,
თუ კი საგანგებოდ მზის ჩასვლისას არ დავდებოდით კლდე-
თან, ისე, ალბათ, ვერ მივაგენთ იმ გამოქვაბულს, სანამ
რაიმე უცნაურ ნიშანს არ ვნახავთ. თქვენ, გაცუბთ, გული
დაგწყდათ, მაგრამ მერე უნდა გენახათ! არ დამიჯერა და
თვითონ გამოიკვლია ამ კლდის მთელი ზედაპირი. ის ხომ
შესანიშნავი მოსაგვლილია.

— მაშ ჩაიფიქრა ჩემი იმედი? — აღმოხდა მე.

— არა უშავს რა, ჩემო ოთარ, შოთა რუსთველის კვალის
მიგნება არაა ადვილი საქმე. ჩვენ ვერ ვნახეთ, მაგრამ ვინ
იცის იქნებ ჩვენმა მომდევნო ახალგაზრდობამ უფრო ადვი-
ლად ამოხსნას ეს საიდუმლოება. თუ ამ შესანიშნავი მადნის
აღმოჩენაში შენ, ისტორიკოსი, უნებურად დაგვეხმარე, იქნებ
ისე მოხდეს, რომ შემდეგში ამ მიდამოებში მომუშავე რომე-
ლიმე ახალგაზრდა, სამთა ინჟინერი შემთხვევით გახსნის იმ
გამოქვაბულის კარს, რომელზედაც ჩვენ ყველანი ასე ვიცნე-
ბოთ.

გვცრთნელები



წინარე ზარის ხმა გაისმა. ბებია სამზარეულოდან გამოვიდა და კარი გაღო. კიბის ბაქანზე უცნობი ბიჭი იდგა. მან ოდნე დაუკრა თავი და ზრდილობიანად იკითხა:

— მამათო, გრიშა უტოჩკინი აქ ცხოვრობს?

— აა-აა-აა, — გაქვიანურები უპასუხა ბებიამ და სტუმარს ბეჭის თვალით ახედ-დახედა.

ბიჭმა საკმაოდ კარგი შობამეტილება მოახდინა ბებიაზე. მას ეცვა კარგად გაუთოებელი ლურჯი შარვალი და ჩოგბურთელის ყვითელი მაისურა. მკერდზე წითლად უღვავდა აბრეშუმის ყელსახვევი. ოქროსფერი თმა კონტად ჰქონდა გვერდზე გადავარცხნილი.

ბიჭს ილიაში ძალზე ჭუჭყიანი, დაბამბული, დალიანდაგებულ კურთუკი ჰქონდა ამორჩილი, ხელში კი თოკის ბოლო ეჭირა, რომელიც გაურკვეველი ფერის ბალანაბრძვანული, ფხზნურღე, დრუნჩინაი ძაღლის საყვილურზე იყო მიხმული. სწორედ აი, ამ კურთუკმა და ძაღლმა აიძულა ბებია ყურადღება გაემახვილებინა.

— შეიძლება გრიშა ვენახო?

— შე-ე-იძლება, — მცირე ყოყმანის შემდეგ გაქვიანურები უპასუხა ბებიამ. მას უნდოდა შეენიშნა, რომ ძაღლის შინ შეეყვანა საჭირო არ იყო, რომ ის მხოლოდ დასერიდა იქაურობას, მაგრამ თავი შეეკავა და ეს-და დასძინა: — იმ კარში შდი.

მაგრამ ბაჭმა ძაღლი ოთახში კი არ შეეყვანა, — მკაცრი კილოთი უთხრა:

— ბაღმა, დაჯექი, დაჯექი! ბაღმა, ვის ეუბნებიან? დაჯექი!

ბაღმა დაამთქნარა და როგორც იქნა დაჯდა; წვერიან დრუნჩე უმედოდ მოწყენილობა გამოეხატა. ბიჭმა თოკის ბოლო მოაჯირის მიხაბ, მხოლოდ ამის შემდეგ შევიდა ოთახში და ბებიას მიერ მიითებულ კარზე დააკაკუნა.



— აა-აა-აა, — გაქვიანურები უპასუხა ბებიამ და სტუმარს ბეჭის თვალით ახედ-დახედა.

გრიშა, ჩასქვნილი და თმაგაჩნილი, მკაცრი გამოხეტყველების ბიჭი, ამ დროს მუხლს აქვრდა სკამზე დაღებულ რაღაც პატარა ფიცარს და ხეხავდა. იგი, ცოტა არ იყოს, გაოცდა, როდესაც ახლადმოსული ოლეგ ვერნიშინი აღმოჩნდა, რომელიც პარალელურ კლასში სწავლობდა და რომელსაც თითქმის არც იცნობდა. გრიშა წელში გაიმართა, ხალაიი შარვალში ჩაისწორა და უსიტყვოდ მიაჩერდა სტუმარს.

— ვაპარუბა, უტოჩკინ, — თქვა ოლეგმა და კარი შემოხურა. — ნუ გვიკვრის, რომ გვეყვი. შენთან ერთი თხონვა მაქვს.

— რა? — მოკლედ უპასუხა გრიშამ და ოლეგს შუბლქვეშოდან მიაჩერდა.

— არ შეგიძლია ძაღლის გაწვრთნაში დამეხმარო? გრიშა ყოველთვის მზად იყო ყოველგვარი ახალი საქმისათვის ხელი მოეხიდა, მაგრამ ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა.

— შემიძლია, მაგრამ როგორ?

— იგი რა, მე მას საგუშუაო სამსახურისათვის გვერთინი. უკვე ვასწავლე ჩემს გვერდით სიარული, ბრძანებისამებრ დაჯდომა და დაწოლა... ახლა მე მასთან ვაშუშავებ ბრძანება «ფასა-ს».

უნდა ცეცხლს იმას, ვინუდაც მიფუთითებ. ამისათვის კი საჭიროა ასისტენტია — ძაღლისთვის სრულიად უცნობი ადამიანი.

— იმისათვის, რომ ცეცხლს — იკითხა გრიშამ.

— ჰო. მე და ჩემი კლასელი ბიჭები უკვე ვწვრთნიდით და ის ძალიან კარგად იცნობდა ხოლმე, ახლა კი გაიციუნ იმინი და აღარც ეცემა. რეფლექსის განმტკიცება კი საჭიროა. აი, მეც ამიტომ ვთხოვ...

საკონტრაქტო ჩავარდნილობა გრიშამ განიერი ცხვირი მოიფხანა: — რომ დამეკნოსო!

— ჯერ-ერთი, მე მას დადავით დავიკვრე, მეორეც, ასისტენტი ტანთ ჩაიცვას დამცველ სპექტანსაცმელს, — ოლეგმა ქურთუკი გაშალა და შენიდან ისეთივე დაგულჯული დაბამბული შარვალი ამოიღო, — ჩემთან ერთად მთელი ჩემი კლასი წვრთნიდა მას და მხოლოდ სერიოკა ლაბტეცს უტყბინა ოდნავ... თანახმა ხარ?

— თანახმა ვარ. შენი ძაღლი სადღა?

— კიბეზე დავტოვე, — ძაღლმა არ უნდა იცოდეს, რომ ჩვენ ერთმანეთს ვიცნობთ. მე ახლა მასთან ერთად გავალ და ტიხა-იას ქუჩაზე დაგელოდები. შენ ჩაიცივი სპექტანსაცმელი, მოდი იქ და ბაღმას მივაბერ, ვითომც ბოროტგანმზრახველი ხარ. კარგი?

— კარგი. წაიდი!

ოლეგი წაიდა. გრიშამ კეხი დალიხრა და სპექტანსაცმლის ჩაცმას შეუდგა. ეს არც ისე ადვილი საქმე იყო, რადგან შარვალი უზარმაზარი ზომისა გამოდგა. ილიის ქვეშ შარვალი სარტყელით რომ დაიმავრა და კოჭებზე ზონრებით შეეკრა, გრიშა ძალიან დიდ, უცნაური ფორმის გარმონს დაემსგავსა. დაბამბულმა ქურთუკმა რომელიც მან ჩაიცივა, საქმე ცოტა გამაძსწორა; ის, მუხლს ქვევით ჩამოკიდებული, თითქმის საცხებით ფარავდა შარვალს. ხელის მტკვნის ქვევით ოცი სანტიმეტრით გადაცილებული სახელოები არც კი აიკაიწწა.

გრიშას, რა თქმა უნდა, არ სურდა, რომ ბებიას ასეთ კონტუმში გამოწყობილი დაენახა, ამიტომ ვიდრე ოთახიდან გამოვიდოდა, კარი ოდნავ გააღო და ყური მიუვლო. ბებია სამზარეულოში თუფშებს არახუნებდა. გრიშა გაინახა და თითის წვერებზე გაემართა წინკარისაკენ, მაგრამ სწორედ ამ წუთს ბებია სამზარეულოდან გამოვიდა და თუფშებით ხელში იჭედა შემოდა.

— ღმერთო, ჩემო! — წაილულულა მან და მისვე ხმას აუწია: — გრიგოლ! შენ... რას ჩაღიხარ მართლა და მართლა ქეუა დაქარგე?

— საიკრიაო, — წაიბუტბუტა გრივამ და ცდილობდა ბეზიასთვის არ შეხედლა, ისე გასხლტა ოთახიდან.

ტიხაია მართლაც წყნარი ქუჩა იყო. ფილაქნების გასწვრივ მარჯვნივ და მარცხნივ წარღვილ ძველი ცაქცების უკან ერთ და ორ სართულიანი სახლები მიმალულიყვნენ, აქ მოძრაობა იმდენად მცირე იყო, რომ ქვეყნიელზე ქვევს შორის ბალახი ამწვანებულყო.

აქ მოსვლისას გრივამ ორმოცდაათივე მეტრის მოზოროებით დაინახა ოლეგი, რომელიც ქვაფენილზე მიდი-მოდიოდა და თან გაიძახოდა:

- გვერდით, პალმა, გვერდით!
- ჰეი! — ხმადაბლა შესძახა გრივამ.

მწვრთნელი შეჩერდა, «დაჯექ», — უბრძანა პალმას, და გრივას თავის დაქნევით ანიშნა: შეიძლება დავიწყეთო.

ასისტენტმა კები ცხვირზე ჩამოფხატა. ქვედა ყბა მძინვარედ წინ გამოიშვირა და ოდნავი ჩაბუქნით, სახელოების ბოლოების კონწიალით, ზიგზაგებით მიეპარა ძაღლს.

პალმამ ასისტენტი შეწინა და თვალღერება დაუწყო: წვერიათი დრუნჩი ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ გააყოლა. როცა გრივამ ათიოდე მეტრზე მიუახლოვდა, ის წამოვდა და აღრინდა.

— პალმა, დაჯექ! — თქვა ოლეგმა და ძალი უხალისოდ დგა, თანაც კბილების ღრქვეს განაგრძობდა.

ასისტენტი ოთხზე დადგა და თვითონაც აღრინდა.

— ფას! — დაიყვირა ოლეგმა.
პალმამ დაიღრინა და ისე სწრაფად ეცა ასისტენტს, რომ მწვრთნელმა ის თოკით ძლივს შეაკავა. გრივამ წამოხტა და განზე ისუკა.

- ნახე? — ჩუმად თქვა ოლეგმა.
- ჰო, — ასევე ჩუმად უპასუხა გრივამ, — ოღონდ შენ რომ ფასს! რა გეტყვა, მაინც მეტეზოდა... მე ხომ ვაჯავრებდი!
- ახლა იცა რა? ახლა, მოდი, ნუ ვაჯავრებ. კუთხეს ამოეფარე, შემდეგ გამოდი, ფილაქანს მშვიდად გამოჰყვიე და ჩვენ-კენ პრე კი მოიხილო. კარგი?
- ჰო, კარგი!

გრივამ ვაჯავრებინამდე მიიბრინა, კუთხეს ამოეფარა, ცოტა ხანს იქ დაჰყო, შემდეგ მეორე მხარეზე აუჩქარებელი დინჯი ნაბიჯით დაიწყო სიარული. აი, ის გაუსწორდა მათ... აი, გვერდით ჩაუარა.

- ფას!
- რრრრ! რავ-რავ!
- გრივამ უკან რომ მოიხედა, დაინახა: პალმა თოკს ჰქმავდა და მისკენ იწვიდა.

— კარგია! — თქვა აქეთა ფილაქანზე მდგარმა ოლეგმა. — მირჩია გმადლობო! შემიშუმება ჩატარებულა. გაიხადე სპეცტანსაცემელი და აქ მოდი.

გრივამ გაიხიდა სპეცტანსაცემელი და გაოფილი შუბლის წვერით მწვრთნელს მიუახლოვდა. პალმამ ფეხზე კეხა და უპირა, მაგრამ ოლეგმა დაუყვირა და აიძულა დამჯდარიყო. ოლეგი იღიბებოდა, ცისფერი თვალები უბრწყინავდა, სახე კი კაყოფილებისაგან აღნაძული ჰქონდა.

— ნახე? ნახე, რას ნიშნავს წვრთნა? შენ ზედაც არ შეგიხე-ლია მისთვის, ის კი უკვე გეცა.

პალმასაგან ცოტა მოზოროებით მდგარმა გრივამ უპასუხა: — მერე რა, რომ მეცა! მე ის ვაჯავრებ. მან მე დამისოსმა და მეცა კიდევაც. ის ყველას ეცემა, ვინც ასეთ ტანისამოსშია. აი, ის რომ იმ დედას ეცეს, მაშინ სხვა საქმეა, — და გრივამ თვალთქანიშნა დარბაისელ ქალზე, რომელიც ნელა მიყვებოდა



ბებია სამხარეულოდან გამოვიდა და თევშებით ხელში იქვე გაშურდა.

მეორე ფილაქანს და ხელში სურსათ-სანაოვავით სავსე ჩანთა ეჭირა.

ოლეგმა, რომელიც უკვე არ იღიბებოდა, თვითონაც შეხედა ქალს. როდესაც მან გვერდით ჩაუარა, ის ჩაყუცდა პალმას გვერდით, ქალისკენ ხელი გაიშვირა და წყნარად გასცა ბრძანება:

- პალმა, ფას!
- იმ წამსვე გაისმა ხმამალალი ყუფა და თოკმა მძლავრად მოსწია ოლეგის ხელი.
- ხომ ნახე? — შეეკითხა ოლეგი გრივას.
- გრივამ მხოლოდ ახლა ირწმუნა წვრთნის ძალა. მან ილღიაში ამოიჩარა თავისი დაკონკილი სპეცტანსაცემელი, პალმას წინ ჩაცუცქდა და თვალღერება დაუწყო.
- ეს რა ჯოშია? ეზოს ძაღლია?
- სამქვეც ეგ არის, რომ ჩვეულებრივი ეზოს ძაღლია.
- გრივამ ჯერ კიდევ ჩაყუცქული იჯდა და პალმას ათვალღერებდა.

— ქოფაკი რომ იყოს, აღბათ, უკეთესად ეცემოდა, — ჩუმად ჩილაპარაკა გრივამ.

— შეს როგორ ფიქრობ, მე რისთვის ვწვრთნი? იცი რისთვის? მე ხან ვაწავლი, წვადე ძალსაშენში, სადაც საკუშავო სამსახურის ძაღლებს ანაწმენებ, ვაჩვენებ, თუ როგორ ვიცი წვრთნა და აღსაწმენდად მომცემენ ქოფაკის ლეკვს.

- გრივამ წამოვდა, მაგრამ კვლავ პალმას უტყვროდა.
- ნამდვილად მოცემენ? — კითხა მან.
- სულ ნამდვილად არა, მაგრამ მე ასე მჯონია.
- მერე ჩვენს ქალაქში არის... რა ჰქვია... სადაც ქოფაკებს ანაწმენებენ?

— ძაღლსაშენები. რა თქმა უნდა! არის არმიის, ავიაციისა და ფოტოსის ხელშემწყობ ნებაყოფლობით საზოგადოებასთან, არის მილიციის სამმართველოსთან. მე ააფხშნ-ში შევკლა. აი, დავამუშავო პალმასთან კიბე, დაბრკოლება და ამტანობა!

- ეგ რაღა არის?
- კიბე! — ეგ არა, რომ იცოდეს მისადგმელ კიბეზე ასვლა-ჩა-

ზე მაღალი, ტანადი, წელშიგამართული მილიციელი მილიციის
 ლიტენანტის საბუებურებით. მან ცერები ქაბრის ლეფერტი გაიშა-
 რა, ცნობისმოყვარეობით შეხედა ზავშევს, რომელმაც
 ძალთან ფუსფუსებდნენ, და გაიღიმა. მილიციელი ოლეგაც
 შენიშნა.



...ხელი მილიციელისაკენ გაიშვირა და... დაიძაბა:—პაღმა,
 ფას! ფას!

მოსვლა. დაბრკოლება — ლობების გადაღახვა. ხოლო ამტანო-
 ბა — ეგ ასეთი: მაგალითად, მე ვუბრძანებ დაჯდომას და თვითონ
 სადმე წავალ. თუნდ ნახევარი საათით, ის კი უნდა იჯდეს მა-
 ნამდე, სანამ არ დაგბრუნდები.

გრიზა აქამდე ცუდად იცნობდა სასამსახურო მემკლღობას. მან
 გაეგონა, რომ არსებობენ მეძებარი ძაღვები, ერთი-ორჯერ კი-
 ნომიცი ენახა ძალიან ჭკვიანი ქოჯაკები, რომლებიც მესაზღვრებენ-
 თან ერთად გმირობას სჩადიოდნენ, მაგრამ ეგონა, რომ ასეთი
 ქოჯაკების წვრთნა მხოლოდ განსაკუთრებულ სპეციალისტებს,
 შეეძლოთ. და აი, ახლა მან დაინახა, რომ არათუ სპეციალისტი,
 მისი თანაკლასელი, ქოჯაკ კი არა, რაღაც ქვეყანა ეზოს ძაღლს
 აიძულებს ბრძანებისამებრ დაჯდეს, ბრძანებისამებრ მის გვერ-
 დით იაროს და ბრძანებისამებრ ეცეს ვამგლე-გამომკლელს.

— ვეწმინდა. სარ ისწავლე... რა ჰქვია იმას... წერითან?
 — სულ ადვილია. ვიციდე მალაზიაში წვინი — «სასამსახურო
 ძაღვების წერითან» და მისი საშუალებით ვისწავლე.

— მეც ვიციდე ასეთ წვიანს... აი, ძაღვების შოვნის საქმეა
 ცუდად... მოუახერხებელი რომელიმე ეზოს ძაღლის დაჭერას, მაგ-
 რამ ბეზია გააკადებს.

— იცი რა? შენ შენი რგოლის ბიჭები დაიყოლიე და მთელი
 რგოლით წვრთნას შეუდგე, შემდეგ შევლმა რგოლმა ნამდვილი
 ქოჯაკი გაწვრთნით.

უკაცრიელ ქუჩაში ბიჭები ფილაქნის კიდევ იდგნენ და დიდ-
 ხანს საუბრობდნენ. ოლეგი გრიზას ძაღლის წვრთნის სერებს
 უყვებოდა. აჩვენებდა, თუ როგორ უნდა ასწავლოს ძაღლს,
 ზურგზე ხელის დაჭერით, ბრძანებისამებრ დაჯდომა. მან შემდეგ
 კი, როდესაც ის დაჯდებოდა, შაქრის ნატეხებით უნდა გაუმსაპინ-
 ძლდეს. გრიზა ყველა მანაბულაციას ყურადღებით თვალს ადევ-
 ნებდა და მხოლოდ ერთხელ მიიხედა განზე, ეს მაშინ, როცა
 შორიდან მოისმა აუჩქარებელი მკაფიო ნაბიჯი, მერე ფილაქან-

— იყურება, — ჩუმაღ თქვა მან.
 მილიციელის ყურადღება ესამოვნათ ბიჭებს, — შეხედეს და
 გაუღიშეს. მან ოღანე თვალი ჩაუკრა მათ. უცებ გრიზას მო-
 აგონდა, რომ, ოლეგის თქმით, მილიციის სამმართველოში არის
 ძაღლსაშენი. მან მწვრთნელს გვერდში ნელა უბიძგა და წა-
 ჩურჩულა:

— აჩვენე მაგას, აჩვენე, როგორ ეცემა ხოლმე,
 — უხერხულია.

— აბა, რაა უხერხული! აჩვენე!
 ოლეგი წუთით შეყოყმანდა, შემდეგ ჩაცუცქდა, ხელი მილი-
 ციელისაკენ გაიშვირა და ხმამაღლა, რომ იმას გაეგონა, და-
 იძაბა:

— პაღმა, ფას! ფას!
 ზაღმა გაიჟია, მოულოდნელად ოლეგს ხელიდან ზაჭარი გა-
 მოგვიდა და საშინელი ყვირით მილიციელისაკენ გაქანდა.

— მოკურცხლე! — იმწამსვე შეხვედრა გრიზამ.

ის, რაც შემდეგ მოხდა, ბიჭებს არ დაუნახავთ. ოლეგმა ქერ-
 თუკი ფილაქანზე დააგდო და მახლობელ ეზოს კარში გაქრა.
 გრიზაც მას დაედევნა. მათ შენიშვნა, რომ მესერთან, ჭიშკრიდან
 მარჯვნივ, აღმართულა შეშის დიდი ზვინი, ხოლო შეშის ზვინსა
 და კედელს შორის ოცდაათიოდ სანტიმეტრის სივანის ხერვლია.
 ორივემ, თითქოს დათქმული ჰქონდათ, მარჯვნივ გაუხვია. შემ-
 გრნენ ამ ხერვლში და გაინახნენ. რამდენიმე წამის შემდეგ
 მათ მოესმათ მწყობარი ნაბიჯების ხმა, შემდეგ თითების აკაუნე
